აპლიკანტის გზამკვლევი

თუ გადაწყვიტე პროფესიულ პროგრამაზე სწავლა, ამისათვის უნდა შეარჩიო პროგრამა, კოლეჯი, გაიარო რეგისტრაცია და მონაწილეობა მიიღო შერჩევის პროცესში. გზამკვლევი დაგეხმარება პროცედურების გავლაში:

1. დარეგისტრირდი https://vet.ge/ge ვებგვერდზე;
2. თუ ვერ ახერხებ დამოუკიდებლად დარეგისტრირებას, მოგვმართე და მარნეულის კოლეჯი დაგეხმარება ამ მნიშვნელოვანი პროცედურის გავლაში;
3. რეგისტრაციის პროცესში უნდა შეარჩიო სასურველი (არაუმეტეს სამისა) პროფესიული პროგრამა და სასწავლებელი (კოლეჯი);
4. რეგისტრაციის პროცესი დაიწყო **2024 წლის 22 აპრილს და დასრულდება 16 მაისს *გაითვალისწინეთ!*** ამ ვადის შემდეგ თქვენ ვეღარ შეძლებთ 2024 წლის საგაზაფხულო მიღებაში მონაწილობას;
5. არ შეცვალოთ რეგისტრაციისას მითითებული ტელეფონის ნომერი და ელექტრონული ფოსტა, ვინაიდან ამ მისამართებზე თქვენ მიიღებთ ყველა საჭირო და მნიშვნელოვან ინფორმაციას;
6. 1 და 2 ივნისს ჩატარდება შერჩევის პროცესი ყველა პროგრამაზე გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ:
   - ფარმაციის პროგრამა, საექთნო განათლების პროგრამა -- ქიმია-ბიოლოგიის (სკოლის პროგრამა) ტესტს ჩაატარებს გამოცდების ეროვნული ცენტრი (ზუსტი თარიღი გეცნობებათ სატელეფონო მესიჯით ან ელექტრონული ფოსტით);
   - აღმზრდელის პროგრამა -- ზოგადი უნარების ტესტს ჩაატარებს გამოცდების ეროვნული ცენტრი (ზუსტი თარიღი გეცნობებათ სატელეფონო მესიჯით ან ელექტრონული ფოსტით);
   - 28 მაისს - ინფორმაციის ტექნოლოგიის პროგრამა - მოტივაციურ გასაუბრებას ჩაატარებს მარნეულის კოლეჯი;
   - 29 მაისს - საფინანსო სერვისების პროგრამა - მოტივაციურ გასაუბრებას ჩაატარებს მარნეულის კოლეჯი;
   - 5 ივნისამდე - ინფორმაციის ტექნოლოგიის პროგრამაზე შერჩევის შედეგების გასაჩივრების ვადაა;
   - 5 ივნისამდე - საფინანსო სერვისების პროგრამაზე შერჩევის შედეგების გასაჩივრების ვადაა;
7. **2024 წლის 25 ივნისამდე** სატელეფონო შეტყობინების ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მიიღებთ ინფორმაციას თქვენს მიერ ტესტირებაში ან გასაუბრების დროს დაგროვილი ქულების შესაბამისად რეიტინგული ადგილის შესახებ;
8. თქვენი რეიტინგული ქულით განისაზღვრება მოხვდით, თუ ვერა სასურველ კოლეჯში და სასურველ პროგრამაზე;
9. **2024 წლის 25 ივნისიდან 27 ივნისის ჩათვლით** რეიტინგული ქულის (რეიტინგულ სიაში თქვენი რიგითი ნომრის) გათვალისწინებით შესაძლებლობა გაქვთ მონიშნოთ საბოლოო

არჩევანი (ანუ უნდა მიიღოთ გადაწყვეტილება და აირჩიოთ მხოლოდ ერთი პროგრამა ერთ კოლეჯში);

10. **2024 წლის 28 ივნისიდან 12 ივლისამდე** სავალდებულოდ უნდა გამოცხადდეთ არჩეულ კოლეჯში განცხადების დასაწერად და საჭირო საბუთების წარსადგენად. ***გაითვალისწინეთ!*** ამ დადგენილ დღეებში არმისვლის შემთხვევაში, თქვენ ვერ ჩაირიცხებით სასურველ პროგრამაზე მიუხედავად რეიტინგული ქულისა;
11. **ყველა პროფესიულ პროგრამაზე სწავლა იწყება 2024 წლის 16 სექტემბერს.**

გისურვებთ წარმატებას

საექთნო განათლება	• სამწლიანი უმაღლესი პროფესიული პროგრამა; • გაიცემა სახელმწიფო დიპლომი; • ჩარიცხვა 12 კლასის ატესტატის საფუძველზე; • ~~გადასახადი 11733 ლარი;~~ სახელმწიფო დაფინანსება • ჩარიცხვა Naec-ის ტესტირების გზით (ქიმია-ბიოლოგია)
ფარმაცია (სააფთიაქო)	• ორწლიანი უმაღლესი პროფესიული პროგრამა; • გაიცემა სახელმწიფო დიპლომი; • ჩარიცხვა 12 კლასის ატესტატის საფუძველზე; • ~~გადასახადი 8415 ლარი;~~ სახელმწიფო დაფინანსება • ჩარიცხვა Naec-ის ტესტირების გზით (ქიმია-ბიოლოგია)
საბანკო საფინანსო სერვისები	• ერთწლიანი პროფესიული პროგრამა; • გაიცემა სახელმწიფო დიპლომი; • ჩარიცხვა 9 კლასის ატესტატის საფუძველზე; • ჩარიცხვა შესაძლებელია 17 წლის ასაკიდან; • ~~გადასახადი 2653 ლარი;~~ სახელმწიფო დაფინანსება • ჩარიცხვა კოლეჯის მიერ ორგანიზებული მოტივაციური გასაუბრებით
ბაგა-ბაღის აღმზრდელი	• ორწლიანი უმაღლესი პროფესიული პროგრამა; • გაიცემა სახელმწიფო დიპლომი; • ჩარიცხვა 12 კლასის ატესტატის საფუძველზე; • ~~გადასახადი 5161 ლარი;~~ სახელმწიფო დაფინანსება • ჩარიცხვა Naec-ის ტესტირების გზით (ზოგადი უნარები)
ინფორმაციის ტექნოლოგია	• ერთწლიანი პროფესიული პროგრამა; • გაიცემა სახელმწიფო დიპლომი; • ჩარიცხვა 9 კლასის ატესტატის საფუძველზე; • ~~გადასახადი 3219 ლარი;~~ სახელმწიფო დაფინანსება • ჩარიცხვა კოლეჯის მიერ ორგანიზებული მოტივაციური გასაუბრებით

მარნეულის კოლეჯის ელექტრონული ფოსტა:
marneulicollege@gmail.com; info.marneulicollege@gmail.com
კოლეჯის საკონტაქტო ტელეფონი: 595 30 23 90
ვებგვერდი: WWW.MC.EDU.GE
ფეისბუქი: „მარნეულის კოლეჯი - Марнеульский колледж“
ინსტაგრამი: “marneulicollege”